საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

ხათუნა ფურელიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ზ. ც.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.07.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 093/19

საჩივარი შემოტანილია: ს. შ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ს. შ.-ს მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით, შემდგომში „დებულება", გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 05 ივლისს „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ზ. ც.-მ და მოითხოვა ადვოკატ ს. შ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. მომჩივანი დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, დაესწრო

2020 წლის 30 ოქტომბრის, 2021 წლის 09 თებერვლისა და ამავე წლის 12 მარტის განხილვის კოლეგიის სხდომებს და წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2015 წლის ივლისის თვეში ზ. ც.-მ რ. კ.-სთან ერთად საკალმახე მეურნეობის შექმნის მიზნით, დააფუძნა შპს „ა“, რომლის დირექტორი და ასევე 10% წილის მფლობელი გახდა ზ. ც., 90% წილის მფლობელი იყო მეორე პარტნიორი - რ. კ.. ზ. ც.-მ, როგორც ფიზიკურმა პირმა, მეურნეობის საწარმოებლად ახმეტის რაიონის სოფელ შახვეტილაში შ. ტ.-სგან, რომლის რწმუნებულიც იყო რ. კ., საკუთარი სახსრებით შეიძინა 100.000 ლარად ახმეტის რაიონის სოფელ შახვეტილაში მდებარე სხვადასხვა ფართობების 18 მიწის ნაკვეთი.

1.3 მომჩივანის თქმით, საკალმახე მეურნეობის მომგებიანად წარმართვისთვის დამატებითი ინვესტიციები იყო საჭირო, რის შესახებაც ინფორმირებული იყო მეორე პარტნიორიც, თუმცა მან შეაჩერა კომპანიის დაფინანსება, რის გამოც წარმოება ზარალდებოდა.

1.4 2018 წლის შემოდგომაზე რ. კ.-ს დედამ - ლ. კ.-მა ბ. და დ. ჩ.-თან ერთად დააფუძნა ახალი კომპანია შპს „ზ.“, რომლის მიზანიც ბიზნესსაქმიანობის გაუმჯობესება იყო. მოლაპარაკების შედეგად, ზ. ც. დაინიშნა შპს „ზ“ დირექტორად, თუმცა ის არ წარმოადგენდა აღნიშნული შპს-ს მეწილეს.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2019 წლის 5 მარტს, ქ. ფოთში შეხვდა ლ. კ.-ს, რომელმაც უთხრა, რომ ბიზნესის გაფართოება და ინვესტირების პროცესი უკვე იწყებოდა, რასაც სჭირდებოდა „გარკვეული პროცედურების შესრულება“ და „საქმეს რომ არ მოსცდენოდა“ მინდობილობა გაეფორმებინა ადვოკატისთვის - ს. შ.-სთვის.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის დათანხმდა ლ. კ.-ს შემოთავაზებას, რადგან მიიჩნია, რომ ადვოკატის ჩართულობით მოგვარდებოდა იურიდიული საკითხები და გაუმჯობესდებოდა სამეწარმეო საქმიანობა. შესაბამისად, ზ. ც.-მ, 2019 წლის 05 მარტს, ადვოკატ ს. შ.-ს სახელზე გასცა ერთი მინდობილობა, როგორც შპს „ზ“-ს დირექტორმა, ხოლო მეორე მინდობილობა, როგორც ფიზიკურმა პირმა. ამის შემდეგ, საჩივრის ავტორი და ადვოკატი ს. შ. წავიდნენ ფოთში მდებარე საჯარო რეესტრში, სადაც ადვოკატმა შეავსო „რაღაც განაცხადი“, რომლის ჩვენებაც მოსთხოვა ზ. ც.-მ, თუმცა ადვოკატმა არ გააცნო.

1.7 აღნიშნულის შემდეგ, საჩივრის ავტორი დაეჭვდა ადვოკატის ქმედებაში და საჯარო რეესტრში გადაამოწმა შპს „ზ“ შესახებ ინფორმაცია და მისი, როგორც ზ. ც.-ის საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ მონაცემები. გადამოწმების შედეგად, აღმოჩნდა, რომ შპს „ზ“ იფორმებდა საჩივრის ავტორის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს. კერძოდ, ზ. ც.-ის განცხადებით, ადვოკატმა ს. შ.-მ მასთან შეუთანხმებლად, 2019 წლის 05 მარტს შეადგინა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, სადაც მიუთითა, რომ ნასყიდობის ფასი - 100.000 ლარი თითქოს სრულად იყო გადახდილი. კერძოდ, ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ადვოკატმა ს. შ.-მ, როგორც შპს „ზ“ დირექტორის ზ. ც.-ის წარმომადგენელმა გადაიხადა აღნიშნული თანხა და როგორც ფიზიკური პირის და ქონების მესაკუთრის ზ. ც.-ის წარმომადგენელმა მიიღო ნასყიდობის თანხა.

1.8 ზემოაღნიშნული ფაქტის აღმოჩენისთანავე, ზ. ც.-მ 2019 წლის 10 მარტს გააუქმა ადვოკატ ს. შ.-ს სახელზე გაცემული ორივე მინდობილობა. ასევე, მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა მიწის ნაკვეთების გასხვისების პროცესის შეჩერება. საჩივრის ავტორის განცხადებით, მასსა და პარტნიორებს შორის ურთიერთობა დაიძაბა, იგი გადააყენეს შპს „ა“ დირექტორობიდან, უკანონოდ დაისაკუთრეს შექმნილი მეურნეობა და 4 ტონა თევზი. ისინი დღემდე ეწევიან უკანონო სამეწარმეო საქმიანობას და ახდენენ შპს „ა“ კუთვნილი თევზის რეალიზაციას.

1.9 მომჩივანმა განმარტა, რომ ვითარების შესახებ მან აცნობა ახლობელ ადვოკატს - ზურაბ ფორჩხიძეს, რომელიც დაუკავშირდა ადვოკატ ს. შ.-ს. მომჩივანის თქმით, ადვოკატმა ითხოვა რამდენიმე დღე გაურკვევლობის მოსაგვარებლად და ზურაბ ფორჩხიძეს სთხოვა, რომ არ მიემართა საგამოძიებო ორგანოსთვის.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი ენდო ადვოკატ ს. შ.-ს, თუმცა რამდენიმე დღეში გაურკვევლობის გამოსწორების ნაცვლად, ყოფილმა პარტნიორებმა დაიწყეს მომჩივანის წინააღმდეგ მოქმედებები. კერძოდ, მიმართეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეზე, რის საფუძველზეც დაყადაღდა ზ. ც.-ის ქონება და აგრეთვე, მის წინააღმდეგ მიმართეს საგამოძიებო ორგანოს, თითქოს მან მიითვისა 100.000 ლარი. საჩივრის ავტორის განცხადებით, მანაც მიმართა პროკურატურას ბიზნესპარტნიორების წინააღმდეგ.

1.11 მომჩვანის განმარტებით, ზემოაღნიშნულ პერიოდში, ადვოკატ ს. შ.-ს არცერთხელ ჰქონია მასთან სატელეფონო კომუნიკაცია. ადვოკატს მხოლოდ ერთხელ აქვს სატელეფონო შეტყობინება - „საჯარო რეესტრში წარსადგენი კოდი“, იმ მიზნით, რომ როგორც შპს „ზ“ დირექტორად დარეგისტრირებულიყო.

1.12 საჩივრის ავტორი ითხოვს ადვოკატის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა განხილვის კოლეგიის სხდომებზე - 2020 წლის 30 ოქტომბრის, 2021 წლის 09 თებერვალსა და ამავე წლის 12 მარტს, დისტანციური პლატფორმის „ვებექსის“ მეშვეობით, წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტებები.

2.2 ადვოკატის განცხადებით, 2018 წელს მასთან საადვოკატო ბიუროში მისულმა ლ. კ.-მა სთხოვა იურიდიული მომსახურების გაწევა შპს „ზ“ რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ლ. კ.-მა ადვოკატს განუცხადა, რომ ვინაიდან, ის საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა, შპს „ზ“ დირექტორად სურდა დანიშნულიყო მისი ახლო მეგობარი - ზ. ც.. ამასთან, ადვოკატს ლ. კ.-მა სთხოვა კომპანიის წესდების შედგენა, რის შემდგომაც კომუნიკაცია უშუალოდ შპს-ს დირექტორთან - ზ. ც.-სთან უნდა ჰქონოდა.

2.3 ადვოკატი ს. შ. ტელეფონის მეშვეობით დაუკავშირდა ზ. ც.-ს, რომელიც იმყოფებოდა კახეთში და ადვოკატ ს. შ.-ს ჩართულობით, დისტანციურად, შესრულდა სანოტარო მოქმედებები, რის საფუძველზეც ზ. ც. დაინიშნა შპს „ზ“ დირექტორად. ადვოკატის განმარტებით, ზ. ც.-ისთვის

აღნიშნული იურიდიული მომსახურება ერთჯერად სახეს ატარებდა და ის არ იყო საჩივრის ავტორის ადვოკატი.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ის ადასტურებს, რომ მისი სატელეფონო ნომრიდან, რომლითაც ის წლების განმავლობაში სარგებლობს არ განუხორციელებია ზარი ზ. ც.-სთან, თუმცა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე ზ. ც.-ს ლუბოვ კანეევას ტელეფონის მეშვეობით დაუკავშირდა და მიაწოდა ინფორმაცია, მათ შორის იმის თაობაზე, რომ დამატებითი საკითხები შეეძლო იუსტიციის სახლში მისვლით გაერკვია, აგრეთვე, ლუბოვ კანეევა შეძლებდა მის პირად ანგარიშზე ნასყიდობის ღირებულების თანხის მის ანგარიშზე ჩარიცხვას, თუმცა ზ. ც.-მ განუმარტა, რომ თავად სურდა ლუბოვ კანეევას ნახვა და ფოთში ჩასვლა.

2.5 ადვოკატის განცხადებით, ზოგადად, მისი საადვოკატო პრაქტიკიდან გამომდინარე, ის მინდობილობის გაფორმებასთან დაკავშირებით, ნოტარიუსთან არ მიჰყვება თავის კლიენტებს, რადგან მინდობილობა ცალმხრივი გარიგებაა, მაგრამ მას დაუკავშირდა ლუბოვ კანეევა და უთხრა, რომ შპს „ზ“ სურდა ზ. ც.-ისგან შეეძინა მიწის ნაკვეთები, ის ზ. ც.-სთან ერთად კახეთიდან მიდიოდა ფოთში (სადაც იმყოფებოდა ადვოკატი) და სთხოვა ადვოკატს, რომ სანოტარო ბიუროში მისულიყო და რიგი დაეკავებინა, რის შემდგომაც, ისინიც მივიდნენ სანოტარო ბიუროში. მხარეებს სურდათ 18 უძრავ ქონებას ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება. ნოტარიუსმა გამოთვალა გარიგების გაფორმებისთვის სანოტარო მოქმედების საფასური და ვინაიდან, გარიგება ეხებოდა 18 უძრავ ქონებას - აღნიშნული უფრო დიდ ხარჯს უკავშირდებოდა, ვიდრე საჯარო რეესტრში მის გაფორმებას. შესაბამისად, ზოსიმე ციცნაძემ გასცა მის სახელზე ორი მინდობილობა.

2.6 ზ. ც. ფოთში, სანოტარო ბიუროში ყოფნისას, უშუალოდ გაეცნო ორივე მინდობილობის ტექსტს, რომლებსაც გასცემდა ადვოკატ ს. შ.-ს სახელზე და ასევე ადვოკატმა განუმარტა ის სამართლებრივი შედეგები, რაც აღნიშნულ რწმუნებულებათა გაცემას უკავშირდებოდა.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მინდობილობების გაფორმების შემდეგ, ერთობლივად წავიდნენ ფოთის იუსტიციის სახლში ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, სადაც „სპონტანურად გაფორმდა ხელშეკრულებები“. ადვოკატ ს. შ.-ს ზ. ც.-მ განუმარტა, რომ ვინაიდან, ნამგზავრი და დაღლილი იყო, მას დაესრულებინა ხელშეკრულების გაფორმება. ადვოკატის განმარტებით, ზ. ც. ინფორმირებული იყო რა მიზნით იმყოფებოდა საჯარო რეესტრში, მათ შორის რა სახის ხელშეკრულება ფორმდებოდა.

2.8 ადვოკატს იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება ზ. ც.-სთან არ გაუფორმებია და არც ჰონორარი მიუღია ზ. ც.-ისგან. კომისიის შეკითხვაზე, ადვოკატმა განმარტა, რომ ზ. ც.-ისთვის არ შეუთავაზებია, რომ მისი ინტერესები ხელშეკრულების გაფორმების დროს სხვა ადვოკატს წარმოედგინა, რადგანაც მხარეთა შორის მეგობრული ურთიერთობა იყო და ინტერესთა კონფლიქტის არსებობის საფუძველი არ არსებობდა, მინდობილობა გაიცა ერთი პირის მიერ და „ერთ მხარის მიერ ორი გარიგება იყო“, „ფირმის სახელით მოქმედება და მეორე მხრივ, როგორც ფიზიკური პირი“ შესაბამისად, „ორი სხვდასხვა მხარე არ იყო“. ადვოკატის

განცხადებით, მას შემდეგ, რაც მხარეთა შორის წარმოიშვა კონფლიქტი, ის აღარ უწევს იურიდიულ მომსახურებას არცერთ მხარეს.

2.9 ადვოკატის განცხადებით, ზ. ც.-ს ზიანი არ მიდგომია, რადგან მინდობილობათა გაუქმების შედეგად, შეწყდა უძრავ ქონებათა გადაფორმების პროცედურა საჯარო რეესტრში და ქონება დღემდე ზ. ც.-ის სახელზეა რიცხული.

3. მოწმე ირაკლი ტოროტაძის ახსნა-განმარტება:

3.1 ირაკლი ტოროტაძემ 2020 წლის 30 ოქტომბერს მოწმის სახით, დისტანციურ რეჟიმში, ელექტრონული ფორმატის „ვებექსის“ გამოყენებით, განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

3.2 მოწმის განმარტებით, ის მუშაობს ნიტარიუსად ქალაქ ფოთში. 2019 წლის 05 მარტს, მას სანოტარო ბიუროში მიმართეს ზ. ც.-მ, ადვოკატმა ს. შ.-მ და „კ“, რომლის სახელი ზუსტად არ ახსოვს. მათ სურდათ უძრავ ქონებაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება. კერძოდ, ზ. ც.-ს „კანეევასთვის უნდა გადაეფორმებინა მიწის ნაკვეთები“, თუმცა აღნიშნული მოქმედებების სანოტარო წესით განხორციელება დიდი ხარჯებთან იყო დაკავშირებული - დაახლოებით 200 ლარის ფარგლებში. შესაბამისად, ადვოკატ ს. შ.-ს სახელზე ზ. ც.-მ, როგორც ფიზიკურმა პირმა და როგორც შპს „ზ“ დირექტორმა გასცა ორი მინდობილობა, რის საფუძველზეც საჯარო რეესტრში გაფორმდებოდა გარიგება, რაც ნაკლებ ხარჯთან იყო დაკავშირებული. აღნიშნულზე გადაწყვეტილება ზ. ც.-მ თავად მიიღო, ამასთან მინდობილობები უშუალოდ მას გადაეცა.

3.3 მოწმის განცხადებით, ერთ დღეს მას დაუკავშირდა ზ. ც. და განუცხადა, რომ ს. შ.-ს სახელზე გაფორმებული მინდობილობის გაუქმება სურდა.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1 2020 წლის 20 ივნისს პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ს. შ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2, 8.1, 8.2 მუხლების და ეთიკის კოდექსის 5, 6.1, 6.2, 8.5, 8.6 მუხლების შესაძლო დარღვევის საფუძველზე.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტები:

5.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორის, მოპასუხე ადვოკატის ახსნა-განმარტების, ასევე, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დაადგინა შემდეგი ფაქტები:

5.1.1 საჩივრის ავტორმა ზ. ც.-მ ადვოკატ სვეტლანა სახელზე გასცა ორი მინდობილობა ერთ წლის ვადით: ერთი, როგორც შპს „ზ“ დირექტორმა, რის საფუძველზეც ადვოკატს მიანიჭა

უფლებამოსილება შპს „ზ“ სახელით, „ნებისმიერი პირისგან შეეძინა ნებისმიერი უძრავი ქონება, სადაც არ უნდა მდებარეობდეს და რისგანაც არ უნდა შედგებოდეს. განსაზღვროს თანხა, ვადა, გადახდის პირობები და ხელშეკრულების სხვა პირობები თავისი შეხედულემისამებრ“ ხოლო ზ. ც.-ის, როგორც ფიზიკური პირის მიერ გაცემულ მინდობილობაში, მითითებულია, რომ ს. შ.-ს ეძლევა უფლება: „... მართოს, განკარგოს ახმეტის რაიონ სოფელ შახვეტილაში მდებარე ზ. ც.-ის კუთვნილი ნებისმიერი უძრავი ქონება მთლიანად“.

5.1.2 *განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

1. *მინდობილობა 05.03.2019 N*
2. *მინდობილობა 05.03.2019 N*

5.1.3 2019 წლის 05 მარტს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება სოფელ შახვეტილაში მდებარე 18 მიწის ნაკვეთზე. ხელშეკრულებას ორი მხარის სახელით (გამყიდველი, მყიდველი) ხელს აწერს ადვოკატი ს. შ. ხელშეკრულებაში მითითებულია ნასყიდობის ფასი - 100 000 ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება 05.03.2019

5.1.4 საჩივრის ავტორმა 2019 წლის 10 მარტს გააუქმა ადვოკატ ს. შ.-ს სახელზე ამავე წელის 05 მარტს გაცემული მინდობილობები.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა ახსნა-განმარტებები;

5.1.5 ხელშეკრულებაში 05.03.2019 მითითებულ მიწის ნაკვეთებზე „უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების“ რეგსიტრაცია შეწყდა ზ. ც.-ის მოთხოვნის საფუძველზე და მიწის ნაკვეთები დღემდე წარმოადგენს ზ. ც.-ის საკუთრებას.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთ ახსნა-განმარტება

5.2 სადავო ფაქტები:

5.2.1 მხარეებს შორის სადავოა, ინფორმირებული იყო თუ არა 18 მიწის ნაკვეთზე ნასყიდობის ხელშეკრულების 05.03.2019 გაფორმების თაობაზე ზ. ც., კერძოდ, საჩივრის ავტორის გამოხატული ნების საფუძველზე დარეგისტრირდა თუ არა ზემოაღნიშნული „ნასყიდობის ხელშეკრულება“ საჯარო რეესტრში.

5.2.2 საჩივრის ავტორი ადასტურებს, რომ ის ადვოკატთან ერთად იმყოფებოდა ფოთში მდებარე სანოტარო ბიუროში, აგრეთვე, საჯარო რეესტრში და მისი ნების საფუძველზე გასცა ორი სახის მინდობილობა ადვოკატის სახელზე (იხ.პუნქტი: 1.6) თუმცა ადვოკატს არ ჰქონდა

უფლებამოსილება აღნიშნულის ფარგლებში, მისი სახელით გაეყიდა 18 მიწის ნაკვეთი. მომჩივანი უთითებს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება მისი ნების საწინააღმდეგოდ გაფორმდა და აღნიშნულის თაობაზე არც ნოტარიუსთან უსაუბრიათ. ამასთან, მომჩივანი არ ადასტურებს მისთვის უძრავი ქონების საფასურის 100 000 ლარის მიღებასაც.

5.2.3 ადვოკატის პოზიციით, ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა და შემდგომ საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა საჩივრის ავტორთან შეთანხმებით, (იხ.პუნქტი:3.5), თუმცა ამასთან, უთითებს, რომ ის უძრავი ქონების საფასურის ზ. ც.-სთვის გადახდას არ დასწრებია. უძრავი ქონების ხელშეკრულების თაობაზე ზ. ც.-ის ინფორმირებას აგრეთვე ადასტურებს მოწმე - ირაკლი ტოროტაძე (იხ.პუნქტი: 3.2).

5.2.4 შედეგად, დგინდება, რომ საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატის სახელზე როგორც შპს-ს დირექტორის მიერ და აგრეთვე, როგორც ფიზიკური პირის მიერ გაცემულ მინდობილობათა საფოძველზე, ადვოკატმა ზ. ც.-ის სახელით გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება, თუმცა საქმეში არ არის სარწმუნო მტკიცებულება, რითიც დადგინდებოდა, რომ ადვოკატის მოქმედება, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება და შემდგომ მისი საჯარო რეესტრში დარეგისტრირება გამოხატავდა ზ. ც.-ის ნებას. ამასთან, სადავოა ხელშეკრულებაში მითითებული ნასყიდობის საგნის საფასური, რომლის მიღებასაც მომჩივანი არ ადასტურებს, ადვოკატი კი განმარტავს, რომ მისთვის უცნობია ზ. ც.-ს ვინ გადასცა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

6. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება და დაადგინა, რომ ადვოკატ ს. შ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატი ს. შ. ერთი და იმავე საქმეზე საადვოკატო მომსახურებას უწევდა, როგორც შპს „ზ“ პარტნიორს - ლ. კ.-ს; აგრეთვე, ამავე კომპანიის დირექტორს - ზ. ც.-ს. მათ შორის, ადვოკატი წარმოადგენდა საჩივრის ავტორის, როგორც უძრავი ქონების გამყიდველის ინტერესებს და მეორე მხრივ, შპს „ზ“ (შემძენის) ინტერესებს. შესაბამისად, ადვოკატის მხრიდან, დარღვეულია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 8.1, 8.2, ეთიკის კოდექსი, მუხლები 6.1, 6.2).

ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას. ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 8.1, 8.2).

ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც (ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე; და ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან (ეთიკის კოდექსი, მუხლები 6.1, 6.2).

7.2 „კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ-ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესს“ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 24.01.2011 საქმე №015/10).

7.3 “თავისთავად, რამდენიმე კლიენტისთვის ერთ საქმეზე საადვოკატო მომსახურების გაწევა არ არის აკრძალული, თუმცა აღნიშნული დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ერთ საქმეზე წარმომადგენლობის განხორციელება კლიენტთა საერთო ინტერესების დაცვას ემსახურება და ადვოკატს მოპოვებული აქვს კონფლიქტში მყოფი პირების ინფორმირებული თანხმობა” (ეთიკის კომისიის 2019 წლის 29 ივლისის რეკომენდაცია N006/19).

7.4 ადვოკატის მხრიდან რამდენიმე კლიენტის მომსახურების განხორციელება ასეთი კვლევის ჩატარების გარეშე, იწვევს უარყოფით შედეგს როგორც ადვოკატისთვის, ასევე მისი კლიენტებისთვის და შესაძლოა, მართლმსაჯულების პროცესისთვის, რადგან ადვოკატი იძულებული ხდება ჩამოშორდეს ყველა კლიენტის წარმომადგენლობას“ (ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 002/20 15.04.2020).

7.5 „ინტერესთა კონფლიქტი არის ადვოკატის დამოუკიდებლობის დაკარგვის კერძო შემთხვევა, როდესაც ხდება სხვადასხვა ინტერესების დაპირისპირება, რომელიც ხელს უშლის კლიენტის ერთგულად მომსახურებას, ან არსებობს სხვა არსებული ან ყოფილი კლიენტების მიმართ ვალდებულებების დარღვევის საფრთხე“ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება საქმე N159/18, 29.10.2019).

7.6 „ზოგ შემთხვევაში, როდესაც კონფლიქტი დაკავშირებულია კონფიდენციალობის ხელყოფასთან ან ნდობის დარღვევასთან, დასაშვებია ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, მაგრამ როდესაც სახეზეა მძაფრად დაპირისპირებული პოზიციები, როგორიც აქვთ სასამართლო პროცესში დაპირისპირებულ მხარეებს, ამ შემთხვევაში, დაუშვებელია ადვოკატის მიერ ინფორმირებული თანხმობის მიღების შემთხვევაშიც კი თავისი ყოფილი კლიენტის საწინააღმდეგო წარმომადგენლობა. (ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 016/18 27.05.19).

7.7 დასტურდება, რომ ადვოკატი ს. შ. შპს „ზ“ საქმიანობასთან დაკავშირებით, საადვოკატო მომსახურებას უწევდა ამავე კომპანიის პარტნიორს - ლ. კ.-ს. ადვოკატი ს. შ. თავისი კლიენტის ლ. კ.-ს მეშვეობით დაუკავშირდა საჩივრის ავტორს.

7.8 ადვოკატი წარმოადგენდა, როგორც შპს „ზ“ პარტნიორის ინტერესებს, ასევე საადვოკატო მომსახურებას უწევდა ზ. ც.-ს ამავე კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით. ზ. ც.-ისთვის, როგორც შპს-ს დირექტორისთვის და ამავდროულად, შპს-ს პარტნიორისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევისას, ადვოკატი ს. შ. ფლობდა კომპანიის საქმეებზე ინფორმაციას ორივე კლიენტისგან, რაც წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

7.9 ადვოკატის მიერ შპს „ზ“ საქმიანობასთან დაკავშირებით, ერთდროულად, როგორც კომპანიის პარტნიორის და კომპანიის დირექტორისთვის საადვოკატო მომსახურების განხორციელება კლიენტების ინტერესთა კონფლიქტის საფრთხეს ქმნიდა.

7.10 ადვოკატ ს. შ.-ს ჩართულობით საჩივრის ავტორის შპს „ზ“ დირექტორად დანიშვნის შემდგომ, ს. შ.-მ ამავე კომპანიის საქმეზე კვლავ განახორციელა იურიდიული მომსახურება ერთი მხრივ, როგორც შპს-ს პარტნიორის ლ. კ.-ს ადვოკატმა და მეორე მხრივ, ზ. ც.-ის, როგორც ფიზიკური პირის და როგორც შპს-ს დირექტორის ადვოკატმა. მნიშვნელოვანია, რომ ამ დროს მხარეებს შორის უკვე არსებობდა კონფლიქტი.

7.11 ამასთან, შესაფასებელია, რამდენად შეეძლო ადვოკატს ზ. ც.-ის, როგორც ფიზიკური პირის და მეორე მხრივ, როგორც შპს-ს დირექტორის სახელით გაეფორმებინა ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულება. კოლეგია ვერ გაიზიარებს ადვოკატის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებას არ ჰყავდა სხვადასხვა მხარე, არამედ ერთი მხარე იყო და შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტად ვერ შეფასდებოდა. კოლეგია განმარტავს, რომ ხელშეკრულების ერთ მხარეს იყო ზ. ც.-ის, როგორც ფიზიკური პირის ინტერესი, მეორე მხარეს წარმოადგენდა არა ზ. ც., არამედ შპს „ზ“, რომლის ინტერესებსაც თავის მხრივ, მისი დირექტორი წარმოადგენდა. შესაბამისად, ადვოკატი ერთდრიულად ვერ განახორციელებს ერთი მხირვ მყიდველის და მეორე მხრივ გამყიდველის ინტერესებს. კოლეგია განმარტავს, რომ ხელშეკრულების მხარეთა მიერ მიღებული ინფორმირებული თანხმობის მიუხედავად, ერთდროულად როგორც გამყიდველის, ასევე, შემძენის ინტერესების წარმოდგენა არის დაუშვებელი ინტერესთა კონფლიქტი.

7.12 შესაბამისად, ადვოკატ ს. შ.-ს მიერ ერთდროულად, ხელშეკრულების ორივე მხარის ინტერესების წარმოდგენამ შექმნა ინტერესთა კონფლიქტი.

7.13 განხილვის კოლეგიის შეფასებით დადგინდა ადვოკატ ს. შ.-ს მიერ კლიენტის ინფორმირების და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ეთიკური ვალდებულებები:

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის ... შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

ადვოკატმა კეთილსინდისიერად ... უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

7.14 „ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის განხორციელება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის გარეშე შეუძლებელია. კლიენტს ადვოკატისგან მუდმივად უნდა ჰქონდეს ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე. წარმომადგენლობის პროცესში, ადოკატი კლიენტს უნდა აწვდიდეს ინფორმაციას მის მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებების შესახებ, რაც დაკავშირებულია კლიენტის საქმესთან. კვალიფიციური წარმომადგენლობა მოიცავს კლიენტისათვის დაცვის სტრატეგიის შეთანხმებასა და მის შესაბამისად მოქმედებას. ადვოკატის მიერ დაცვის სტრატეგიის კლიენტთან შეთანხმებისა და კლიენტის საქმეზე იურიდიული ქმედებების განხორციელების თაობაზე კლიენტის ინფორმირების გარეშე ადვოკატის მომსახურება არ ჩაითვლება კვალიფიციურ მომსახურებად, რადგან ადვოკატი არის იურიდიული მრჩეველი, ხოლო გადაწყვეტილების მიმღები პირი - ყოველთვის არის კლიენტი (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 11.12.2020 დისციპლინური საქმე №050/15)

7.15 „ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ადვოკატის პროფესიული ღირებულებებისა და მის მიერ ეთიკური ვალდებულებების დაცვის საფუძველზე ყალიბდება. კლიენტის ინფორმირების ვალდებულება გულისხმობს სწორი და სრულყოფილი ინფორმაციის დროულად და ჯეროვნად მიწოდებას, რაც უზრუნველყოფს საქმის მსვლელობის პროცესში კლიენტის ჩართულობას. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ნდობის პრინციპის დაცვის ერთ-ერთი გამოხატულებაა. კლიენტისათვის საქმესთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაციის მიწოდება, კლიენტის მიერ ადვოკატისადმი ნდობის დაკარგვის საფუძველი ხდება“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 02.10.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N148/18, 6.2).

7.16 ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას. კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები“ (ეთიკის კომისიის 22.03.2012 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N092/11).

7.17 ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული მოქმედებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება (შეად. ეთიკის კომიის გადაწყვეტილება 07.03.2011, საქმე N057/10, 07.03.2011).

7.18 ადვოკატის/წარმომადგენლის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული მოქმედებები სამართლებრივი ძალის მქონეა და ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 30.05 .2011, საქმე N022/11).

7.19 „ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება შესაძლებელია შეფასდეს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული მინდობილობის ბოროტად გამოყენებად და უარყოფითად აისახოს კლიენტსა და ადვოკატს შორის არსებულ ნდობაზე. (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე 022/11. 30.05.11).

7.20 ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას შესრულდა მნიშვნელოვანი სამართლებრივი მოქმედება, რომელიც ზ. ც.-ის, როგორც მისი კლიენტის ინტერესზე არსებით გავლენას ახდენდა. ზ. ც.-მ, როგორც კლიენტმა მინდობილობათა გაცემით ადვოკატის მიმართ გამოხატა ნდობა.

7.21 კოლეგია აღნიშნავს, რომ მხოლოდ მინდობილობათა არსებობა არ არის საკმარისი იმის დასადასტურებლად კონკრეტულად რას მოიცავდა საადვოკატო მომსახურება. კერძოდ, კლიენტის სახელით, ისეთი მნიშვნელოვანი მოქმედება, როგორც მისი უძრავი ქონების გაყიდვაა უნდა იყოს შეთანხმებული კლიენტთან. როგორც მხარეთა პოზიციებით ირკვევა, მათ შორის არ გაფორმებულა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, გაირკვეოდა მოიცავდა თუ იურიდიული მომსახურება ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას.

7.22 მოწმის პოზიცია არ არის საკმარისი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, გამოხატავდა, თუ არა ადვოკატი ს. შ. ზ. ც.-ის, როგორც მის კლიენტის ნამდვილ ნებას ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას. ამასთან, ბუნდოვანია ადვოკატის მიერ როგორც „შპს“-ს დირექტორის, აგრეთვე, როგორც ფიზიკური პირის - ზ. ც.-ის სახელით რატომ მოეწერა ხელი ხელშეკრულებას, როდესაც როგორც ადვოკატი განმარტავს - ხელშეკრულების გაფორმების და მისი დარეგისტრირების მიზნით, მხარეები საჯარო რეესტრში ერთად იმყოფებოდნენ. მხოლოდ ადვოკატის მითითება იმის თაობაზე, რომ შეთანხმება „სპონტანურად გაფორმდა“ და ვინაიდან, ზ. ც. „დაღლილი იყო“ მას სთხოვა ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა დაესურლებინა - არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად. ამასთან, კომისიისთვის უცნობია ნასყიდობის ფასი ვის მიერ იქნა განსაზღვრული და გადახდილი. ადვოკატი არ ადასტურებს შპს „ზ“ მიერ ზ. ც.-ისთვის ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასურის გადახდას და აღნიშნულის თაობაზე საქმეში არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, თუმცა ადვოკატის მიერ მხარეთა სახელით ხელმოწერილ ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ნასყიდობის საგნის საფასური - 100 000 ლარი „მყიდველის მიერ სრულად იქნა გადახდილი“.

7.23 მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ზ. ც.-მ მინდობილობები მათი გაცემიდან 5 დღის შემდგომ გააუქმა და მიმართა საჯარო რეესტრს შეწყვეტილიყო მის კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე ნასყიდობის ხელშეკრულების რეგისტრაციის პროცედურა.

7.24 შედეგად, დგინდება ადვოკატის მიერ მომჩივანის, როგორც მისი კლიენტის არაინფორმირებულობა და შესაბამისად, კლიენტის ინტერესების საწინააღდეგოდ მოქმედება.

7.25 კოლეგია აღნიშნავს, რომ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა, ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა, რომელიც არ არის სახდელი.

7.26 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხიმსგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2.5 მუხლის მიხედვით, ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „მიყენებულ ზიანში" უპირველესად მოიაზრება პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, ხოლო შემდეგ, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი. ამასთან, პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას ასევე გასათვალისწინებელია „ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად... ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N098/17).

7.27 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას" (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

7.28 კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის დამოკიდებულებას დარღვევისადმი. ადვოკატს არ გაუთვითცნობიერებია მის მიერ პროფესიული ვალდებულებების დარღვევა. აგრეთვე, ითვალისწინებს დარღვევისას არსებული ზიანის ხარისხს. კერძოდ, დასტურდება, რომ ზ. ც.-მ თავად მიმართა საჯარო რეესტრს, რის საფუძველზეც შეწყდა ნასყიდობის ხელშეკრულების სარეგისტრაციო წარმოება და უძრავი ქონება დღემდე მის სახელზეა, თუმცა საჩივრის ავტორის უმოქმედობის შედეგად შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანი დამდგარიყო.

7.29 კოლეგია შემამსუბუქებელ გარემოებად ითვალისწინებს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი და არ არსებობს დისციპლინური სახდელის უფრო მძიმე ფორმის განმსაზღვრელი რომელიმე ფაქტორი და

შესაბამისად, ამ პირობებში, კოლეგიას მიაჩნია, რომ დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილების გამოყენება იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული ეთიკური ვალდებულების დარღვევის პროპორციული.

7.30 შედეგად, კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატისათვის მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება. მოცემული დისციპლინური საქმიდან გამომდინარე საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ზედმეტად მკაცრი და არაპროპორციული სახდელი შეიძლება იყოს მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან.

7.31 სახდელის სახით ყველაზე მსუბუქი ფორმის - გაფრთხილების გამოყენების მიზანია ადვოკატმა გააცნობიეროს და შეაფასოს მისი ქმედება და სამომავლოდ გაითვალისწინოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების შემთხვევები.

7.32 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, შედეგად, კომისიამ დადგინა, რომ ადვოკატ ს. შ.-ს მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის პროპორციულ და სამართლიან პასუხისმგებლობის ფორმას წარმოადგენს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(ა), 8.1, 8.2 32.1, 34.1(ა), 35, 35[1], 36 მუხლებით, ეთიკის კოდექსის 6.1, 6.2, 8.5 მუხლებით). ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 4.6, 19, 20, 33.11, 35, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N093/19 დადგინდეს ადვოკატ ს. შ.-ს /სიითი№/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ ს. შ.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს გაფრთხილება და კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ფურელიანი/